სამოქალაქო განათლების პროგრამა

სასკოლო ტელევიზია

პროექტის მოკლე აღწერა:

მოსწავლებს სურვილი აქვთ გააშუქონ აქტუალური სასკოლო თემები. ისინი შექმნიან საკუთარ ვებ-გვერდს.ჩაატარებენ კვლევას, გააშუქებენ გამოკვეთილ პრობლემებს.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტი ხელს შეუწყობს თვითმართველობის როლის გაზრდას სასკოლო საზოგადოებაში. მოსწავლეები შეიძენენ სხვადასხვა ეფექტურ უნარს, ისწავლიან ინფორმაციის მოძიებას, დახარისხებას, სწორი და მცადარი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევას. ისინი ისწავლიან ერთმანეთის პატივისცემას, ემაპათიას, შეიძენენ ჯგუფურ მუშაობის უნარებს, განივითარებენ ციფრულ კომპეტენციას, ეფექტურად გამოიყენებე ინტერნეტ სივრცეს. ასევე პროეტი ხელს შეუწყობს სოციალიზაციას, რადგან ბავშვები ითანამშრომლებენ სხვადასხვა სკოლებთან, ადგილობრივ თვითმართველობასა და მერიასთან. მხარს დაუჭერენ და გააშუქებენ სასკოლო თემის საუკეთესო, საგნამანათლებლო, შემოქმედებით ინიციატივებს.

საჭიროებების/პრობლემის აღწერა:

სკოლაში 1500 მოსწავლეა. იგი დროებით ფუნქციონირებს 22-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე. პროექტის განხორციელება მათ ინოვაციურ და ინტელექტიულურ უნარებს განუვითარებს. ისინი ისწავლიან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებას, გაშუქებას, რაც მათ დაეხმარება შესაბამისი პროფესიის არჩევასა და წარმეტების მიღწევაში.

რა ღონისძიებები გატარდება აღნიშნული მიზნის მისაღწევად:

თანამშრომლობის ფარგლებში თბილისის 42-ე საჯარო სკოლა ჩაატრებს მასტერკლასს, ასწავლიან პროექტის აწყობას, გრაფიკულ გაფორმებას, გახმოვანებას, გადაღებას. თამაზი კვაჭაძე უხელმძვანელებს ინფორმაციის მოძიებისა და გაშუქების პროცესს. მარიამ ტომარაძე და მარიამ მეტრეველი დაეუფლებიან ჟურნალისტის პროფესიას. იაკო იაკობიძე, რომელსაც აქვს კომუნიკაცია საზოგადოებრივ მაუწყებელთან, ისწავლის ინფორმაციის აწყობას და გააშუქებს სკოლისა და თემის აქტუალურ საკითხებს. ლაშა მშვენიერაძე შექმნის ანიმაციებს, რომელიც დაწყებითი და საშულო საფეხურის მოსწავლეებისათვის საინტერესო სასწავლო რესურსი იქნება. სკოლაში დაწესდება პრიზი საინტერესო, საჭირო ინიციატევების მოფიქრებაზე. გამარჯვებული პროეტი მხარდაწერილი იქნება ხმათაუმრავლესობით, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების აქტიურ ჩართულობას სკოლის თვითმართველობის საქმიანოაში. მოსწავლეები შექმნიან საინფორმაციო ბუკლეტებს და ტელევიზიის ლოგოს, რომელიც მრავალ ვარიანტს შორის ხმათა უმრავლესობით აირჩევა

პროექტის პარტნიორები:

ვითანამშრომლებთ თბილისის 42-ე საჯარო სკოლათან. ისინი მოხალისეობრივად გადაამაზადებენ მოსწავლეებს და დაეხმარებიან ტელევიზიის შექმნაში. ასევე ვითანმშრომლებთ 22-ე საჯარო სკოლასთან, ვასწავლით და დავეხმარებით სკოლის ტელევიზიის შექმნაში. ასევე ახლო მდებარე სკოლებს, სურვილის შემთხვევაში, ჩავართავთ პროექტში.

ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები:

სკოლის საზოგადოება: მოსწავლეები,მასწავლებლები,მშობლები და დაინტერესებული პირები.დაახლოებით 1000-1200 ადამიანი.

შესაძლო რისკები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით განხორციელებას და მათი აღმოფხვრის გზები:

არასწორი ან დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლეთა ინტერესების დამახინჯება. პრევენციის მიზნით, გაშუქებამდე ინფორმაცია სათანადოდ უნდა გადამოწმდეს რამდენიმე დამოუკიდებელ წყაროში. აღიშნული საქმიანობის შესრულებას სჭირდება შესაბამისი დროის გამოყოფა მოსწავლეებისაგან, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს საგაკვეთილო პროცესებში მათ აქტიურ ჩართულობას. პრევენციის მიზნით ბავშვებს დავეხმარებით დღის დაგაგეგმვაში, რაც ხელს შეუწყობს დროის ეფექტურ გადანაწილებას.

პროექტის მდგრადობა მისი დაფინანსების დასრულების შემდეგ:

პროქტის წევრები ცოდნას გაუზიარებენ უმცროს კლასელებს, ხელს შეუწყობენ ახალი გამოწვევევების გადალახვაში. აქტიურად დაეხმარებიან მათ ტელევიზიის მართვაში. სკოლის დამთავრების შემდეგაც ექნებათ თანამშრომლობა მათთან. აღნიშნული პროექტი გამაარტივებს სკოლაში მედიანიგნიერების დანერგვას, სხვადსხვა სასკოლო და სასარეგბლო რესურსის შექმნას. ასევე ინტერნეტის მიზნობრივ გამოყენებას. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი ტრადიციის დამკვიდრებას, კურსდამთავრებულების თავიანთ სკოლაზე ზრუნვას და მასთან თანამშრომლობას წლების განმავლობაში